საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

N 563-03
11/03/2016

საჯარო სამართლის იურიდიული პირი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების წესის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის“ წესდების მე-18 მუხლის პირველი და მეექვსე პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის N65/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებასა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებულ საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებას საფუძველზე

ვბრძანებ

1. დამტკიცდეს პირველი დანართის სახით ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების წესი.

2. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს, ეს ბრძანება განათავსოს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე;

3. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას, ეს ბრძანება გააცნოს რექტორის აპარატს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ყველა ფაკულტეტს/სკოლას, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, იურიდიულ სამსახურს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს.

გიგა ზედანია

რექტორი